ხაშურის მოამბე

№34 (235) 9 სექტემბერი, ორშაბათი, 2019 წელი

ასიანები

მივიდნენ, ნახეს, გაიმარჯვეს-ეს, ანტიკური ხანის, ინტერპრირებული სენტენცია აბსოლუტურად მოერგება ამ ბაშვებს, არა მარტო მოერგება, ზუსტად ჯდება მათ ნამოქმედარში. იგივე ანტიკური ხანის სპასპეტი ასეთ დროს იტყოდა:-გავიმარჯვე დანაკარგის გარეშე... ზემოთ ბავშვები ვახსენე, ეს ისე, ინერციით მოყოლილი სიტყვაა, თორემ მათი ბავშვობა უკვე უკან დარჩა, ახლა სტუდენტები არიან-ყველაზე საოცარი, ყველაზე საოცნებო, ყველაზე ულამაზესი დრო მათ ცხოვრებაში. იწყება შეუცნობლის შეცნობა, იწყება ასტრალისკენ მიმავალი ბილიკის გაკვალვა, ბილიკის, რომელმაც ისინი დიდ ტაძარში უნდა მიიყვანოს, ამ ტაძარს კი სამშობლოს სამსახური ჰქვია.

ლაღები, ლამაზები, ნიჭიერები, ერუდირებულები, ინტელექტუალები...ყველა დადებითი ეპითეტი მემეტება მათთვის. ჯერ ხომ სკოლაში იყვნენ სამაგალითოები და მისაბაძები, ახლა, აგერ მთელი საქართველოს მასშტაბით ისახელეს თავი და იმ სტუდენტებს შორის მოხვდნენ, ვინც სახელმწიფოსაგან სწავლის საფასურის 100 პროცენტიანი დაფინანსება მიიღეს. დიდი შრომა იყო ამ შედეგის უკან, იყო წიგნზე გათენებული ღამეებიც, მაგრამ სხვაგვარად როგორ? აგერ, ეს შრომა დაუფასდათ კიდეც.

მოდით, გაგაცნობთ ჩვენს "ასიანებს" და შემდეგ ისევ განვაგრძოთ:

სოფიკო ღონღაძე (მე-8 საჯარო სკოლა, თავისუფალი უნივერსიტეტი, სამართალმცოდნეობა);

მერი გაჩეჩილაძე (მე-7 საჯარო სკოლა, თავისუფალი უნივერსიეტი, ბიზნესადმინისტრირება);

ნინო გიორგაძე (მე-8 საჯარო სკოლა, თავისუფალი უნივერსიტეტი, სამართალმცოდნეობა);

ვანო მჭედლიშვილი (მე-3 საჯარო სკოლა, თსუ, სამართალმცოდნეობა);

ლევან ლოლაძე (ალის საჯარო სკოლა, თსუ. ფიზიკის ფაკულტეტი);

ცისია ხაჩიძე (დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონი, თავისუფალი უნივერსიტეტი, ბიზნესადმინისტრირება);

მერი ლომიძე (მე-8 საჯარო სკოლა, სან დიეგოს უნივერსიტეტი, კომპიუტერული ინჟინერია);

ნინო მჭედლიშვილი (მე-8 საჯარო სკოლა, თსუ, სამართალმცოდნეობა);

მარიამ კიკნაძე (სურამის მე-4 საჯარო სკოლა, თსუ, სოციოლოგიის ფაკულტეტი);

ლუკა თურქაძე (მე -7 საჯარო სკოლა, კავკასიის უნივერსიტეტი, ინფორმაციული ტექნოლოგიები);

ალექსი ჭურდაძე (მე-8 საჯარო სკოლა, თავისუფალი უნივერსიტეტი, ბიზნესადმინისტრირება);

თამარ აბრამაშვილი (ტეზრის საჯარო სკოლა, თსუ, სამართალმცოდნეობა);

თეკლა ლომიძე (სურამის II საჯარო სკოლა, თავისუფალი უნივერსიტეტი);

მარიამ ბარბაქაძე (სურამის IV საჯარო სკოლა);

ნინო გაჩეჩილაძე (ხაშურის მე-3 საჯარო სკოლა, თსუ, ეკონომიკა ინგლისურენოვანი).

აი, ის კოჰორტა, აი, ის ფლაგმანი 2018-2019 წლების კურსდამთავრებულების. ახლა ამათ ათეულობით ე.წ. 70 და 50 პროცენტიანები მიუმატეთ და ვისაც ხაშურზე და მთელ მუნიციპალიტეტზე შავი აზრი აქვთ, ანახეთ ესენი. რთულია, მთელი საქართველოს მასშტაბით, სტატისტიკის მოძებნა, თუმცა, დარწმუნებული ვარ, მუნიციპალიტეტებს შორის, ამ წარმატებული ბავშვების სიმრავლით, პირველ ათეულში მაინც ვიქნებით.

თავს ვხრით მათ წინაშე, თავს ვხრით მათი პედაგოგების წინაშე, მადლობა თქვენ და ყოველთვის გახსოვდეთ, რომ მუდამ გვეიმედებით.

გოგი გოგოლაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია
მერის ბრძანება

№ 489-პ/შ 26 / აგვისტო / 2019 წ.

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მმართველის თანამდებობაზე თათია ბროლიძის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 1061-ე მუხლის მე-13 პუნქტის, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების წესდების“ მესამე მუხლის პირველი პუნქტის და თათია ბროლიძის 2019 წლის 26 აგვისტოს №4127 განცხადების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების - საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მმართველის თანამდებობაზე დაინიშნოს თათია ბროლიძე 2019 წლის 26 აგვისტოდან;

2.ბრძანება ეცნობოს: თათია ბრსოლიძეს;

3.ბრძანება ეცნობოს: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო, ადმინისტრაციულ , ეკონომიკური განვითარების, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურებს და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხაშურის სარეგისტრაციო სამსახურს;

4.ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ დადგენილი წესით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ხაშური კოსტავას ქ. 15) ერთი თვის ვადაში.

მერი გიორგი გურასპაშვილი

თათია ბროლიძე

დაიბადა 1992 წელს. დაამთავრა სურამის III საჯარო სკოლა. შემდეგ კი – 2014 წელს – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. არის სოციოლოგიის, მეცნიერების და ხელოვნების ბაკალავრი. 2014 წლის სექტმბრიდან იყო მუნიციპალიტეტის მერიის საქმისწარმოების განყოფილების უფროსი, 2018 წლის მაისიდან კი მერიის საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ხელმძღვანელი. მშობლიურის გარდა ფლობს ინგლისურ და გერმანულ ენებს. დაოჯახებულია.

3 სექტემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიას, მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა სერგო ლალიაშვილმა წარუდგინა სამსახურის მიერ მიმდინარე წელს გაწეული ანგარიში, დღევანდელ ნომერში, აღნიშნული ანგარიშიდან, გთავაზობთ სივრცითი მოწყობის და არქიტექტურული-სამშენებლო საქმიანობის რეგულირებისა და აგრეთვე მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილებების ანგარიშებს.

ანგარიში
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ 2019 წლის პირველსა და მეორე კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილება თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესახებ“ ორგანული კანონის; საქართველოს მთავრობის 08.12.2014წ. №669 და 20.02.2014წ. №189 დადგენილებების; ეკონომიკური განვითარების სამსახურის დებულების და მოქმედი კანონმდებლობების შესაბამისად. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ გატარებული ღონისძიებებისა და პროცედურების შესაბამისად, 2019 წლის პირველსა და მეორე კვარტალში დასრულდა ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების და ა(ა)იპ ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების ინვენტარიზაცია. მოქალაქეთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების მოთხოვნათა ელექტრონულ ბაზაში 2019 წლის პირველსა და მეორე კვარტალში შეყვანილია -14 ბენეფიციარი.

იანვრის თვეში გამოცხადდა ელექტრონული აუქციონი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხაშურის ცენტრალური სტადიონის დემონტაჟის შედეგად სავარაუდოდ მისაღები მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი სამშენებლო მასალების პრივატიზების შესახებ, აუქციონი შედგა და გაყიდული ქონების სრული საპრივატიზებო საფასური შეადგენს 68000 ლარს. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხაშურში, იმერეთის ქუჩაზე მდებარე (ს/კ 69.08.60.366) უძრავ ქონებაზე ელექტრონული აუქციონი შედგა, ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური შეადგენდა 75 000 ლარს, აუქციონში გამარჯვებული პირს მიერ შემოთავაზებული იყო 209 000 ლარი. ასევე შედგა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. ტაშისკარში მდებარე (მიწის (უძრავი ქონების) ს/კ 69.06.63.023) ელექტრონული აუქციონი, გაყიდული ქონების საპრივატიზებო საფასური შეადგენს 17500 ლარს. ელექტრონული აუქციონი არ შედგა ხაშურში, ბექაურის ქუჩაზე მდებარე (ს/კ 69.08.65.021) უძრავ ქონებაზე. მზადების პროცესშია საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გადასაცემი ობიექტების ნუსხა და დოკუმენტაციის შესაბამისი პაკეტი, რომელთა გაცემა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით განხორციელდება ელექტრონული აუქციონის წესით.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილებით, კანონიერი მოსარგებლისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არა იზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის შესაბამისად, 2019 წლის პირველსა და მეორე კვარტალში, მომზადდა 5 პროექტი. აქედან 2 განცხადებაზე მომზადდა უარის ბრძანების პროექტი, 3 განცხადება დაკმაყოფილდა და გაიცა ბინის საკუთრების უფლების მოწმობა.

უძრავი ქონების იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით ხაშურის სასეირნო პარკში ატრაქციონების განსანთავსებლად გაფორმდა ხელშეკრულება, იჯარით გასაცემი ფართის შესახებ. იჯარით გაიცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებული (ს/კ 69.08.58.209.01.514) უძრავი ქონებიდან 23,10 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი შპს „ალვა-2008“-ის განსანთავსებლად.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან დამატებითი ქონების სახით გადმოგვეცა უძრავ-მოძრავი ქონება (ს/კ 69.02.59.128; ს/კ 69.01.64.153; ს/კ 69.13.55. 445; ს/კ 69.09.57.010; ქვიშხეთში მდებარე 1240 კვ.მ. მიწის ნაკვეთი) და 50 ცალი პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერი.

გაფორმდა ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტებით გადაცემული იქნა სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შემდეგი უძრავი ქონებები: ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებისთვის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხაშურში ძნელაძის ქ. №10-ში მდებარე უძრავი ქონება (69.08.58.183); სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლისთვის, ხაშურში, სააკაძის ქ. №18- ში მდებარე უძრავი ქონება (69.08.59.226); კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანებისთვის, ხაშურში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონება; სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების-სამუსიკო სკოლების გაერთიანებისთვის, სოფ. ქვიშხეთში მდებარე ს/კ 69.06.62.129 უძრავი ქონება და საბავშვო ბაღების გაერთიანებისთვის უძრავი ქონებები (გაერთიანებაში დაქვემდებარებული საბავშვო ბაღები).

ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურდიულ პირებზე გადაცემული იქნა აგრეთვე, სარგებლობის ფორმით სხვადასხვა უძრავ-მოძრავი ქონება. მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილებაში 2019 წლის პირველსა და მეორე კვარტალში მერის რეზოლუციით დაგვეწერა 1300- მდე კორესპონდენცია, რომლის 95 % შესრულებულია.

სივრცითი მოწყობის და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილების მიერ 2019 წლის 8 თვეში გაწეული საქმიანობის ანგარიში

2019 წლის 8 თვეში, მოქალაქეთა მიერ შემოტანილი განცხადებების საფუძველზე, განხილულ

და დამტკიცებულ იქნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები –85 შემდგომში ნებართვების მისაღებად, შეთანხმებულია – I კლასის ობიექტების მშენებლობის 73 პროექტი, შეთანხმებულია დოკუმენტაცია მიწის ნაკვეთის კატეგორიის ცვლილების შესახებ –10, დადგინდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საზღვრები –7, შესრულდა მიწის გაყოფისა და გაერთიანების –45 განცხადება, პასუხი გაეცა ფიზიკური და იურიდიული პირებისგან შემოსულ მრავალ განცხადებას.

გაიცა მშენებლობის 68 ნებართვა, მათ შორის: ხაზობრივ ნაგებობებზე –8, საცხოვრებელ სახლებზე –12, კომერციულ ობიექტებზე –14, დემონტაჟი –5, რეკონსტრუქცია –11, სასაწყობე შენობებზე –3, ავტოფარეხი –1, დამხმარე სათავსო –3, ავტოტექმომსახურება –6, ფერმა –3, ცენტრალური სტადიონი –1, ავტოსამრეცხაო –1.

მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა – 47982 ლარი.

შედარებისთვის მოვიყვანთ წინა წლების სტატისტიკურ მონაცემებს:

2010 წელს გაიცა მშენებლობის - 30 ნებართვა;
2011 წელს გაიცა მშენებლობის - 34 ნებართვა;
2012 წელს გაიცა მშენებლობის - 57 ნებართვა;
2013 წელს გაიცა მშენებლობის - 67 ნებართვა;
2014 წელს გაიცა მშენებლობის - 84 ნებართვა;
2015 წელს გაიცა მშენებლობის - 125 ნებართვა;
2016 წელს გაიცა მშენებლობის - 127 ნებართვა;
2017 წელს გაიცა მშენებლობის - 132 ნებართვა;
2018 წელს გაიცა მშენებლობის - 115 ნებართვა;
2019 წელს გაიცა მშენებლობის - 68 ნებართვა.

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები მზად არიან ახალი სასწავლო წლისათვის

16 სექტემბერს, მთელი საქართველოს მასშტაბით, ახალი სასწავლო წელი იწყება. ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრი მთელი ზაფხულის მანძილზე მუხლჩაუხრელათ მუშაობდა, რათა ახალი სასწავლო წელი ხაშურის რაიონის სკოლებში ყოველგვარი შეფერხებების და ლაფსუსების გარეშე დაიწყოს. მუშა პროცესი, რესურსცენტრში, ამჟამადაც მიმდინარეობს. მათ უამრავ საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვან დეტალზე უწევთ ყურადღების გამახვილება. მიუხედავად დატვირთული გრაფიკისა, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა ზვიად გოუაძემ დრო დაგვითმო და მიმდინარე პროცესებზე გვიამბო. პირველკლასელთა მიღებაზე, წარმატებულ, მედალოსან მოსწავლეებზე, მასწავლებლობის მსურველებზე და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე უფრო ვრცლად ინტერვიუდან შეიტყობთ.

- ბატონო ზვიად, მოგვიყევით როგორ ემზადება ხაშურის საგანმანათლებლი რესურსცენტრი ახალი სასწავლო წლისთვის?

– ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრი ამჟამად სამუშაო პროცესში იმყოფება, რადგან მოახლოებულ, ახალი სასწავლო წელს მომზადებული შეხვდეს. მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს რამდენიმე მიმართულებით, ესენია: ინფრასტრუქტურული მზაობა, სკოლების შესაბამისი რესურსებით მომარაგება, ყველაზე მნიშვნელოვანი კი სკოლების უფასო სახელმძღვანელოებით მომარაგებაა. ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრი ორი მიმართულებით იღებს სახელმძღვანელოებს, საგანმანათლებლო სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოდან და აგრეთვე კომპანიიდან, რომელმაც ტენდერში გაიმარჯვა. დაახლოებით 50 000 სახელმძღვანელო უნდა მივიღოთ 14 სექტემბრამდე და უმოკლეს ვადებში ყველა სკოლაში უნდა გავანაწილოთ, რათა 16 სექტემბრიდან მოსწავლეებმა სრულყოფილ პირობებში დაიწყონ სასწავლო პროცესი.

- რაც შეეხება სარეაბილიტაციო სამუშაოებს..

– ხაშურის რაიონის 22 სკოლაში გამოცხადებული იყო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ტენდერი და ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა. ზოგიერთ სკოლაში გარემონტდა საკლასო ოთახები, ამოიცვალა საკლასო ოთახის კარებები, შეკეთდა სახურავები, ზოგიერთ სკოლაში ფასადი შეიცვალა, გარდა ამისა, საკუთარი ფინანსური რესურებით, რიგი სკოლები ახორციელებენ მცირე ტიპის სარემონტო სამუშაოებს.

- რამდენი პირველკლასელი გყავთ მიმდინარე წელს?

– ახალ სასწალო წელს 645 პირველკლასელი დაიწყებს. მიღებული გვაქვს მათთვის პორტაბელური კომპიუტერები და გადაცემული გვაქვს სკოლებისთვის. მიმდინარეობს ამ სკოლებში პროგრამების ჩატვირთვა და 16 სექტემბერს ყველა პირველკლასელს ექნება კომპიუტერი.

- ყოველწლიურად მედლებით ჯილდოვდებიან წარმატებული მოსწავლეები, წელსაც იქნება იგივე?

– დიახ, რა თქმა უნდა. დასრულებული და გადაცემული გვაქვს სამინისტროსთვის მედალოსნებისა და „ჩემი პირველი კომპიუტერის პროგრამის" კანდიდატების მონაცემები და დაახლოებით ოქტომბრისთვის დაჯილდოვდებიან ეს მოსწავლეები. რა თმა უნდა, ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრი გადასცემს ამ მოსწავლეებს კუთვნილ საჩუქრებს. ჩემი პირველი კომპიუტერის ფარგლებში წელს 90 მოსწავლეა, ხოლო მედალოსანი - 78.

- როგორც ჩვენთვის ცნობილია, მიმდინარეობს გასაუბრებები და კადრების შერჩევა ხაშურის რაიონის სკოლებში არსებული ვაკანტური ადგილების შესავსებად?

– დიას, ასეა. სკოლებისთვის ახალი კადრების შერჩევა დაწყებულია. მოგეხსენებათ, ღვაწლმოსილი პედაგოგები, გავიდნენ დამსახურებულ პენსიაზე. სულ ასეთი 74 პედაგოგი გვყვავს. გამომდინარე აქედან, მათ მიერ გამოთავისუფლებულ ადგილებზე გამოცხადებულია ვაკანსიები და მიმდინარეობს გასაუბრებები კანდიდატებთან. გასაუბრებები ტარდება რესურსცენტრში. ამით გვსურს ახალ კადრებს ხელი შევუწყოთ, რათა გასაუბრების ადგილმდებარეობა მათთვის მოსახერხებელი იყოს და ბევრ მათგანს თავისუფლად შეეძლოს შანსის გამოყენება. აქვე გეტყვით, რომ ახალი კადრების მოძიებისთვის მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები განახორციელა განათლების სამინისტრომ. ისინი შესაძლებლობას სთავაზობენ ნებისმიერ პირს, 2023 წლამდე, რომელსაც აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მაძიებლად შემოვა სკოლაში, 2 წლის განმავლობაში გაიაროს მაძიებლობის პროგრამა, ჩააბაროს საგნის გამოცდა, აგრეთვე გაიაროს 60 კრედიტიანი მასწავლებელთა მოსამზადებელ პროგრამა ან დისტანციური სწავლების კურსი და გახდეს სერტიფიცირებული მასწავლებელი.

- რას ნიშნავს უფრო კონკრეტულად დისტანციური სწავლების კურსი.

– ეს, ნამდვილად, სიახლეა. დისტანციური სწავლების კურსი გულისხმობს პრაქტიკის ფონზე ინტენსიურ თეორიულ სწავლებას, რომელიც პედაგოგს მოუწევს დისტანციურად, კომპიუტერის საშუალებით და არ მოუხდება რომელიმე სასწავლებელში ფიზიკურად სიარული. ეს არის ძალიან კარგი საშუალება, იმისთვის რომ პროფესიაში დახელოვნებული სპეციალისტები მივიღოთ იქ, სადაც ჩვენ გვჭირდება.

- რამდენად ობიექტურად მიმდინარეობს გასაუბრების პროცესი?

– გასაუბრება მიმდინარეობს სრულიად ობიექტურად. გარეშე პირების სახით ჩართულია რესურსცენტრი და მასწავლებელთა პროფესიონალური განვითარების ცენტრის წარმომადგენლები. ამ გასაუბრებებზე სკოლის დირექტორები არ არიან ჩართულები. ობიექტური კომისია შეარჩევს ობიექტურ კადრს და წარუდგენს მას სკოლის დირექციას ხელშეკრულების გასაფორმებლად.

- მასწავლებლობის მსურველთა რიცხვი მაღალია?

– გასაუბრებაზე მოსულთა რაოდენობა საკმაოდ დიდია. უფრო ნაკლებია ფიზიკის და მათემატიკის პედაგოგის მსურველთა რიცხვი. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მასშტაბით არის დეფიციტური სპეციალობები, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით, ჩვენთან, როგორც რესურსცენტრის უფროსი ვერ ვხედავ საგანგაშო სიტუაციას ამ მხრივ, რომ რომელიმე სკოლაში დეფიციტი გვექნება ამ მიმართულების სპეციალისტებისა. შესაძლებელია, ასეც ყოფილიყო, თუმცა ვიყენებთ სხვა სკოლის რესურსებს, სკოლებიც ურთიერთთანამშრომლობენ ერთმანეთთან და შესაძლებლობა იქმნება ერთი მასწავლებელი თემის ფარგლებში გამოვიყენოთ სხვადასხვა სკოლაში, ამის პრობლემას კი სკოლები ერთმანეთს არ უქმნიან.

- როგორც ვიცით, მიმდინარეობს ბაკალავრების დაფინანსება სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში?

– დიახ, გამოცხადებულია დაფინანსება სტუდენტთა სოციალური გრანტის ფარგლებში, რაც გულისხმობს სოციალურად დაუცველების, მრავალშვილიანების და მთავრობის კონკრეტული დადგენილებებით განსაზღვრულ კატეგორიებს. აქვე მინდა დავამატო, რომ რიგი სკოლების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები გადამზადდნენ, სადაც მანდატურები არ არიან და ისინი მეტალო დეტექტორებით აღიჭურვნენ. გარდა ამისა, აპლიკანტებს, ესენი იქნებოდნენ აბიტურიენები თუ მასწავლებლები, რომლებსაც ქულა მოემატათ აპელაციის შედეგად, მათთვის დაწყებულია განაცხადების მიღება რესურსცენტრში თანხის დაბრუნებაზე. აგრეთვე, გუშუნ დამტკიცდა ექსტერნის ბრძანება რესურსცენტრის უფროსის მიერ და მიმდინარეობს ზოგადი განათლების სხვადასხვა საფეხურზე სხვადასხვა კლასის დაძლევის ექსტერნის გამოცდები 4-დან 13 სექტემბრის ჩათვლით.

თინა ახალკაცი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში

(გაგრძელება. დასაწყისი იხ „ხმ“ #5, 6, 7, 9, 11,12,14,15,16,17, 18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28,29,30,31,32)

წვიმოეთი – ნასოფლარი თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, სოფელ ხცისის ერთ-ერთი უბანი.

წვიმოეთში მდებარეობს XI ს-ის დასაწყისის მატერიალური კულტურის ღირსშესანიშნავი ძეგლი, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში ხცისის (წვიმოეთის) იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის სახელწოდებით არის ცნობილი. ტაძარი წვიმოეთის ნასოფლარის ახლოს მდებარეობს წვიმოეთისავე სერზე, ტყეში. ეკლესიის ჩრდილოეთით, ხცისისაკენ ტყის ფერდობზე ვრცლად შეიმჩნევა ნამოსახლარები, რომელიც ფეოდალურ ხანას განეკუთვნება.

პროფ. ალ. ღლონტი თვლის, რომ წვიმოეთი ხცისის ძველი სახელწოდებაა. ამასვე იმეორებს მკვლევარი მ.მთვარელიძე. ისტორიული დოკუმენტებდან კარგად ჩანს, რომ წვიმოეთი და ხცისი სრულიად დამოუკიდებელი პუნქტებია.

ისტორიულ დოკუმენტებში გვხვდება წვიმეთის ფორმით. ასეთივე ფორმით დაუტანია ვახუშტი ბატონიშვილს რუკაზე, იგი ამავე სახელით აღუნიშნავს თავის „აღწერაში“ იოანე ბატონიშვილს, რომელიც აქ მოსახლეობას არ აფიქსირებს.

წვიმოეთი შედიოდა ისტორიული საციციანოს შემადგენლობაში.

1828 წელს აქ 18 კომლი სახლობს, რომლებიც იხდიან ყველა საოსმალო გადასახადს 8050 ახჩის ოდენობით.

XVIII ს-ის 40-იან წლებში ციციშვილებს შორის ამტყდარი შინააშლილობის დროს წვიმოეთი დიდად დაზარალებულა. მერალიბეგ ციციშვილის არზიდან ჩანს, რომ სოფელმა ამ პერიოდში სამჯერ განიცადა აოხრება, მასთან ერთად ხცისმაც. არზაში ნათქვამია: „კიდევ მეორეთ მოუხდა წვიმეთს და ხცისს კიკნაძეებითა და ამაშუკელებით დავით, ტყვე წაიყვანა ოცდარვა. ორი სოფლის საქონელი სულ წაიღო–ღვინო, პური, სახლის ეეჯეულობა, სახლები კი დაწვა“.

იმავე დოკუმენტში აღნიშნულია: „კიდევ წვიმეთს აიკლეს და გაყიდეს ქვრივიშვილი სულ სამი., თავის საქონლით და სახლის ავეჯეულობით“.

წვიმოეთი, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, XIX საუკუნეშიც განაგრძობს არსებობას.

1865 წლის აღწერით, წვიმოეთში 3 კომლი გლეხი სახლობს (2 სახელმწიფო და I დროებით ვალდებული), 1886 წლის აღწერით, მოსახლეობა საგრძნობლად გაზრდილია. აქ უკვე 20 კომლი მოსახლეა (59 კაცი და 67 ქალი, სულ 126 კაცი). ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, მოსახლეობა მთლიანად ქართულია.

მოგვიანებით, XX ს-ის 10-იანი წლებიდან, წვიმოეთი სოფელ ხცისის ერთ-ერთ უბნად გადაიქცა.

სახელწოდება წვიმეთი, ნაწარმოებია –ეთ სუფიქსით, –ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია, ხოლო ძირია „წვიმ”.

სახელწოდების წარმომავლობის შესახებ საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს მკვლევარი მ. მთვარელიძე. როდესაც იგი ცდილობს, გაარკვიოს ტოპონიმ ხცისის წარმომავლობის საკითხი, ვრცლად ჩერდება წვიმოეთზე (წვიმეთი) და წერს: „ხაშურიდან სულ რაღაც შვიდიოდ კილომეტრზე, მტკვრის მარჯვენა მხარეს, თრიალეთის მთების ძირში შეფენილია სოფელი ხცისი – ეს, მართლაც, უძველესი სოფელი, რომლის მშვენებას, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს 1002 წელს აშენებული უნიკალური ტაძარი, როგორც სიმბოლო გაერთიანებული საქართველოისა. ეს ტაძარი, დროთა სვლას რომ გუმბათჩამოქცეული ერკინება, იოანე ნათლისმცემლის სახელს ატარებს. ის სოფლის სამხრეთით, ტყეში, ნათლისმცემლის ფერდობზე მდებარეობს. მეორე მხარეს ყურაქედია წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ნანგრევებით. მათ შორის კი, გაზაფხულსა და შემოდგომაზე გათამამებული და ზაფხულში თითქმის დამშრალი პატარა ნაკადული – ხციულა ჩაედინება, რომლის სათავეშიც ოდითგანვე სამკურნალო გოგირდოვანი აბანოები იყო გამართული.

ძველი სოფელი, დღევანდელისაგან განსხვავებით, სწორედ ამ ორ ფერდობს შორის ყოფილა გაშენებული და მას წვიმეთი რქმევია. ალექსანდრე ღლონტი, ვფიქრობ, სამართლიანად მიიჩნევს, რომ წვიმეთი ხცისის ძველი სახელწოდებაა. სოფლის სამხრეთ ნაწილს – ლობჟანიძეების უბანს, მოსახლეობა დღესაც წვიმეთს (წვიმოეთს) უწოდებს.

საიდან მოდის ეს სახელწოდება? რას უნდა გულისხმობდეს არაერთი საინტერესო ტოპონიმი ამ ადგილებისა? აი, კითხვები, რომელზეც პასუხის გაცემას ისახავს მიზნად ეს წერილი.

სოფლის შედარებით ახალ ნაწილს წვიმეთისაგან ხციულა ყოფს. როგორც კი ხციულაზე გადავალთ, არჩევანის წინაშე დადგები. თუ ამ ნაკადულის ხეობას აჰყვები, ნათლისმცემლის ტაძრის ძირში მოხვდები, თუ მას გადაივლი და ხელმარჯვნივ აღმართს შეუდგები, პატარა გორაზე აღმოჩნდები და იქიდან უკვე ყურაქედისკენ მიმავალ გზას დაადგები. ამ პატარა გორას ელიას გორას ეძახიან.

ელიას გორა – აი, საიდან უნდა დავიწყოთ ამ უძველესი სოფლის ტოპონიმებზე დაკვირვება.

როგორც ბიბლიიდან ვიცით, ელია წინასწარმეტყველებდა, რომ უფალი ქვეყანას უდიდესი გვალვით დასჯიდა. ამის შემდეგ ელია ერთხანს ქერეთის ხევში იმალებოდა და იქ ყორნები უზიდავდნენ საკვებს. როცა ხევი დაშრა, წავიდა ციდონის ტარვათში და იქ ერთი ქვრივის სახლში ცხოვრობდა.

ისიც ცნობილია, რომ ქარმელის მთაზე მოხდა ბაალისა და ელიას პაექრობა, სადაც ღმერთმა ელიას ცეცხლი გარდმოუვლინა, ხოლო როცა ელიამ ამქვეყნიური მისია ამოწურა, იგი ცეცხლის ეტლით ამაღლდა ცად.

როგორც ჩანს, ჩვენი წინაპრები ოდიდგანვე იცნობდნენ ბიბლიას და ცდილობდნენ აქ – საქართველოში ბიბლიური სიწმინდეების აღმნიშვნელი ტოპონიმები დაემკვიდრებინათ. მაშ, სხვაგვარად როგორ ავხსნით იმ გარემოებას, რომ ელიას გორის თავზე, მუხნარით დაფარულ მთას ყურა – ქედი ჰქვია და ამ ადგილის სიწმინდის აღსანიშნავად, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაა აშენებული.

ჩვენი ღრმა რწმენით, ყურაქედი სწორედ ელიას ბიბლიურ ისტორიას უნდა უკავშირდებოდეს და საფიქრებელია, რომ მისი ადრინდელი სახელი იყო ყორანის ქედი, იმის ხსოვნის აღსანიშნავად, რომ ელიას სწორედ ყორნები ასაზრდოებდნენ. არაა გამორიცხული, რომ დროთა განმავლობაში „ყორანის ქედი” იქცა „ყურა ქედად” (ყორნის ქედი – ყორანქედი – ყურაქედი).

როგორც ბიბლიიდან ვიცით, საქადაგოდ გამოსული იოანე ნათლისმცემელი ხალხს მოაგონებდა ელიას: „და უწინამძღვრებს მას ელიას სულითა და ძალით, რათა მოაქციოს მამების გული შვილების მიმართ” (ლუკა. 1. 17) ის თავისი უბრალო ტანსაცმლითაც ჰგავდა ელიას. ამის გახსენებით იმის თქმა გვინდა, რომ სრულიად ბუნებრივია, ელიას სახელობის ადგილთან ახლოს ყოფილიყო იოანე ნათლისმცემლის ტაძარი, რადგანც ეს ორი ბიბლიური პიროვნება ხალხის ცნობიერებაში ერთმანეთს უკავშირდებოდა.

სურათი ნათელია: ელიას გორა, ყორანის ქედი, ნათლისმცემლის ტაძარი – ეს ყველაფერი ერთ ბიბლიურ კონტექსტში თავსდება.

და აი, მივადექით მთავარს – რას უნდა ნიშნავდეს წვიმეთი. როგორც შევნიშნეთ, ნათლისმცემლის ფერდობის სამხრეთით სამკურნალო გოგირდოვანი აბანოები იყო გამართული. ეს აბანოები XX ს-ის 60-იან წლებამდე ჯერ კიდევ არსებობდა. მერე კი დაშრა და გოგირდოვანმა წყალმა მეზობელ სოფელში ამოხეთქა მიწიდან.

როგორც კი ნათლისმცემლის ხევს შეჰყვებოდი, უმალ იგრძნობდი გოგირდის სუნს, რომელიც ხეობის სიღრმეში კიდევ უფრო ძლიერდებოდა. ესე იგი, გოგირდოვანი წყლები ამ სოფლისათვის მნიშვნელოვან სამკურნალო საშუალებას წარმოადგენდა. გოგირდი კი (ბიბლიაში) სწორედ წვიმას უკავშირდება. „აწვიმა უფალმა ციდან სოდომს და გომორს გოგირდი და ცეცხლი „უფლისაგან”. „გოგირდს” მეორე სახელიც აქვს „წუმწუმა” (სულხან საბა ორბელიანი), „წუმწუმა ზეცით „ცეცხლი არს, რომელი აწვიმა სოდომს გოგირდითა („სიტყვის კონა”). ვფიქრობთ, რომ ამ ისტორიულ სოფელში გოგირდი უხვად იყო, ესე იგი, განგებამ იგი აწვიმა ამ ადგილებს სოფელსაც ამიტომ წვიმეთი დაერქვა. ამიტომ ირწმუნებიან მოხუცები – ღამღამობით ყურაქედიდან ნათლისმცემლისკენ ანგელოზები დაფრინავდნენო. გოგირდოვანი ნათება, ელიას გორიდან ცეცხლოვანი ანგელოზების გადაფრენა, ეს ხომ ბიბლიური ინტერპრეტაციებია, ასე კარგად რომ აისახა ტოპონიმებში”.

წიქარაული - ნასოფლარი, მისი ლოკალიზაცია არ ხერხდება, ვფიქრობთ, მსგავსად კოღუასი, ცხრამუხასა და ხაშურის სიახლოვეს უნდა ყოფილიყო.

დასტურდება ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში.

1794 წლის ქაიხოსრო აბაშიძის ანდერძში აღნიშნულია: „... წიქარაულის დავა ჩემის ბიძაშვილების და ჩვენი ეს არის: პაპაჩემს ვახუშტი აბაშიძეს რომ წიქარაული უშოვნია, რამდენსამე წელიწადს შოვნას წინათ ჰსჭერია პაპაჩემს, მანამდის სეხნია ჩხეიძე მოლარეთხუცესი იმ ჭალას იშოვნიდა“.

ზემო ქართლის მოსახელობის XVIII საუკუნის აღწერის ერთ-ერთ დავთარში დაფიქსირებულია წიქარაული თავისი მოსახლეობით:

„ქ. აქავ წიქარაულს ნიკოლოზ (აბაშიძის ყმა) .....იძე როსტომ, კომლი ა.
ქ. აქავ ამისივ ყმა ბითაძე გაბრიელ, კომლი ა.
ქ. აქავ ამისივ ყმა აზნაურშვილი სავანელი გიორგი და გრიგოლ, კომლი ა, თავი ბ.
ქ. აქავ სავანელი ბეციას ყმა ცხვირაშვილი ზურაბ და ამისი შვილი გლახა, კომლი ა, თავი ბ.
ქ. აქავ აბაშიძე ნიკოლოზის ყმა ლომინაშვილი თანდილა, კომლი ა, თავი ა.
ქ. აქავ ამისივ ყმა წიფაელი გაბრიელიშვილი სესია, კომლი ა, თავი ა.
ქ. აქავ ამისივ ყმა წიფაელი თევდორიკა, კომლი ა. თავი ა.
ქ. აქავ ამისივ ყმა ზვარელი ლაცაბიძე კაკაბა, ამისი ძმა გიორგი და მახარა, კომლი ა, თავი გ.“.

წიქარაული დასტურდება აგრეთვე ევგენი აბაშიძის მიერ 1801 წლის 2 დეკემბერს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პავლეს ძის სახელზე შედგენილ მოხსენებით ბარათში, რომელშიც ნათქვამია: „... თექუისმეტი წლისა პაპაჩემი (ვახუშტი აბაშიძე-თ.ლ.) გადმოუყვანია მეფეს ვახტანგს, თავისი ქალი ანუკა ბატონიშვილი მისცა და ისე ჩემის სახლის კაცის სააბაშიო ქუეყანა და სამი სოფელი თავისი სახასო ცხრამუხა, წიქარაული და კოღუა“.

წრომი – სოფელი, მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, თრიალეთის ქედის სამხრეთით, გაშლილ ვაკეზე. სასოფლო საკრებულოს ცენტრი (წრომი, ახალშენი, დიდი ყელეთი, დიდი ხავლეთი, ვაკეპანტები იმერლიანთკარი, ნადარბაზევი, პატარა ყელეთი). ზ.დ. 795 მ. ხაშურიდან დაშორებულია 15 კმ-ით.

შედიოდა ისტორიულ საციციანოში.

წრომი ცნობილია VII საუკუნის ტაძრით, რომლითაც იწყება მეორე ეტაპი ქართული ხუროთმოძღვრების განვითარებაში.

„მძორეთის ჩრდილოთ, გორას იქით და სამწევრის ზეით, არს მონასტერი ყოვლადწმიდისა წრომს, გუნბათიანი შუენიერი, სოფიის კენჭი ჩაწყობილ-დახატული, და ხუცის სამარ“, – აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი.

V საუკუნეში წრომში სპარსელებმა ქრისტიანული სარწმუნოებისათვის აწამეს რაჟდენი, რომელიც შემდეგ ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. იგი არის საქართველოში ქრისტიანობისათვის პირველად წამებული და მას რაჟდენ პირველმოწამედ იხსენიებს საქართველოს ეკლესია. ამავე საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის დროს, აქ აიგო ბაზილიკა, რომლის ადგილზეც შემდგომ, VII ს-ის 20-30-იან წლებში, ქართლის ერისმთავარ სტეფანოზ II-ის მიერ აიგო დღევანდელი ტაძარი. არის მოსაზრება, რომ ტაძარი V-VI საუკუნეების მიჯნაზეა აგებული.

უნდა ვიფიქროთ, რომ წრომი ადრე და განვითარებულ ფეოდალურ ხანაში გარკვეულ კულტურულ როლს თამაშობდა ქვეყნის ცხოვრებაში. ამავე დროს ჩანს, იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტია (დაბაა) ქართლის დასავლეთით.

ერთ-ერთი დოკუმენტიდან ჩანს, რომ XVIII საუკუნის დასაწყისში აქ 6 კომლი ცხოვრობდა.

1828 წელს წრომში 58 კომლი მოსახლეა, რომლებიც იხდიან ყველა საოსმალო გადასახადს 27810 ახჩის ოდენობით.

განსაკუთრებით, მძიმე აღმოჩნდა წრომისათვის XVIII საუკუნის 30-იანი წლები, როცა ლეკთა თავდასხმების შედეგად სოფელი მთლიანად მოიშალა.

ს. ჩხეიძის თანახმად, რაღაც ორ წელიწადში წრომმა ლეკთა რამდენიმე თავდასხმა განიცადა და სავალალო შედეგი გამოიღო.

1731 წლის ივლისში ლეკებმა ააოხრეს საციციანოს სოფლები, მათ შორის სოფელი წრომიც. ამავე წლის სექტემბერში ლეკებმა „...ჩაიარეს წრომს, დაამსხვრიეს გალავანი, შეუხდნენ, უყვეს ყათლანი, ამოსწყვიტეს შიგ საყდარში“ ხალხი. 1732 წელს ლეკებმა კვლავ ააოხრეს წრომი. ამ გარემოებამ არა თუ დაასუსტა წრომი, არამედ საერთოდ მოშალა აქ ცხოვრება. იგი გაუკაცრიელდა. ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა რამდენიმე ათეული წლის მანძილზე.

მხოლოდ XVIII ს-ის 60-70-იან წლებიდან იწყება წრომის ხელმეორედ დასახლება. ამ მხარის თავადებს – ციციშვილებს, სამეფო კარის ხელშეწყობით ჯავახეთიდან გადმოჰყავთ მოსახლეობა და ასახლებენ გაუკაცრიელებულ სოფლებში, მათ შორის წრომშიც. ეს პროცესი გრძელდება XIX საუკუნეშიც.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

3 სექტემბერს, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი უძღვებოდა. სხდომაზე საკრებულოს წევრებმა კენჭი უყარეს და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგით წარმოდგენილი 8 საკითხი.

მათ შორის, თანხმობა მიეცა მუნიციპალიტეტის მერს შ.პ.ს. „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ გადმოცემული 50 ცალი ნაგავშემკრები კონტეინერის ა(ა)იპ „ხაშურსერვისისთვის“ სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

დამტკიცდა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმა;

მოისმინეს და დადებითად შეაფასეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ მიერ, 2019 წლის რვა თვეში, მუნიციპალური პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ანგარიში.

იმავე დღეს, საკრებულოს სოციალურ საკითხთა და სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე იმსჯელეს ხაშურის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ მერიის მიერ წარმოდგენილ დადგენილებების პროექტებზე.

საინფორმაციო შეხვედრა ბიომრავალფეროვნების საკითხებთან დაკავშირებით

5 სექტემბერს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა, ბიომრავალფეროვნების საკითხებთან დაკავშირებით, საინფორმაციო შეხვედრა გამართა.

კამპანია, რომელიც მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას ემსახურებოდა, კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. გამოიკვეთა მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელი პრობლემატური საკითხები, რაზეც მონაწილეებმა დარგის სპეციალისტებისგან მიიღეს რეკომენდაციები.

შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები და დაინტერესებული პირები.

- ჭიდაობა -

წარმატება კასპში

ამ დღეებში, კასპში, ჭიდაობა სამბოში, ჩატარდა ივანე გამხიტაშვილის სახელობის ტურნირი, რომელშიც წარმატებით იასპარეზეს ხაშურის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმა. ტურნირზე, ჩემპიონები გახდნენ გიორგი მეხრიშვილი(48კგ.) ნოდარ ბუხრიკიძე(68 კგ.) და მიხეილ ნოზაძე(82კგ.) ვერცხლის მედალი აიღო ზურა ხაჩიძემ(57კგ.), მესამე საპრიზო ადგილზე კი ვასილ ნოზაძე (82კგ.) გავიდა. გუნდი შეჯიბრებისათვის ბუხუტი ბუხრიკიძემ მოამზადა.

აღსანიშნავია, რომ გიორგი მეხრიშვილი და მიხეილ ნოზაძე უახლოეს მომავალში მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზებენ.

ცხადდება მიღება

ხაშურის სამუსიკო სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 2019-2020 სასწავლო წლისათვის საფორტეპიანო და საორკესტრო (ვიოლინო) განყოფილების I - VI კლასებში.

I კლასში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან 6-დან 10 წლამდე ასაკის მოსწავლეები.

მიღება იწარმოებს II - III - IV - V მაღალ კლასებშიც.

სწავლის გადასახადი - თვეში 15ლარი, სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისათვის თვეში – 3 ლარი. სკოლაში მოქმედებს სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისათვის შეღავათიანი სწავლების პროგრამა.

ისწავლება შემდეგი საგნები : ფორტეპიანო, ვიოლინო, სოლფეჯიო, მუსიკის ლიტერატურა, გუნდი, ქართული მუსიკალური ფოლკლორი. ასევე ფუნქციონირებს გაერთიანებული გუნდი და ვოკალური ანსამბლი.

საგნებს ასწავლიან გამოცდილი, პროფესიონალი, წარმატებული პედაგოგები, რომლებიც თავდაუზოგავად შრომობენ მომავალი თაობის მუსიკალური და ესთეთიკური აღზრდა - განათლებისათვის. მათი დაუზარელი, ენერგიული, პასუხისმგებლური შრომის შედეგია , რომ სკოლას აქვს დიდი წარმატებები - სარაიონო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებზე.

მიღების ბოლო ვადაა 25 სექტემბერი, 11-საათიდან 17-საათამდე (შაბათ - კვირის გარდა).

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ხაშურის სამუსიკო სკოლის დირექციას.

მისამართი : ქ.ხაშური , თამარ მეფის ქუჩა №1.

ტელ : 24 - 30 -23 ; 24 - 48 - 34.

— იუბილე —

70 — თემო კობერიძე -70

გამორჩეულად კარგი კაცი

ხაშურის ფეხბურთს, ასწლიანი ისტორიის მანძილზე, ყოველ თაობაში ჰყავდა გამორჩეული ფიგურა, რომელიც მაგალითი იყო იმ კონკრეტული თაობისთვის და ტონის მიმცემიც მთელი გუნდისთვის. ასეთი პიროვნებების და გამოკვეთილი ლიდერის გარეშე ფეხბურთის ნებისმიერმა გუნდმა წარმატებაზე არც უნდა იფიქროს, რადგან მათი თამაში მთლიანად ეფემერული ხდება და იმდენად

მოკლებულია ხიბლს, რომ გულშემატკივარიც კარგავს ინტერესს მის მიმართ.

გასული საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში ფეხბურთის ბუმია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანა ფეხბურთით ცხოვრობს. ველა რაიონს ჰყავს გუნდი და საქართველოს ჩემპიონატიც იმდენად საინტერესოა, რომ ტრიბუნები მუდამ სავსეა გულშემატკივრებით, სწორედ ამ პერიოდში გამოჩნდა „ივერიაში" სრულიად ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელმაც პირველი თამაშიდანვე მიიქცია ყურადღება და თავისი დახვეწილი ტექნიკითა და საფეხბურთო ინტელექტით უცებ იქცა გულშემატკივართა საყვარელ სპორტსმენად და გუნდის

ლიდერად.

თემურ კობერიძე. ეს სახელი და გვარი ისე დაუკავშირდა ხაშურის ფეხბურთის ისტორიას, რომ შეუძლებელია ამ თემაზე ისაუბროს და იგი არ ახსენოს ვინმემ. გამორჩეული თამაშის მანერა ჰქონდა. დახვეწილი და უზუსტესი პასები მისი მთავარი იარაღი იყო მინდორზე, თუ ამას დავუმატებთ გოლის საოცარ ალღოს და უზადო ტექნიკას, მივიღებთ იმ ტიპის ნახევარმცველს, რომლებიც ამინდს ქმნიან თამაშისას და გუნდიც მის გარშემო ბრუნავს. ათი წლის მანძილზე, იგი თითქმის ყოველ წელს ხდებოდა საქართველოს ჩემპიონატის 23 საუკეთესოს შორის და მსგავსი მიღწევა თითო-ოროლა ფეხბურთელს თუ ექნება. რც ის უნდა გამოგვრჩეს, რომ ყოველ წელს 10-12 გოლი გაჰქონდა, რაც ნახევარმცველისათვის ბრწყინვალე შედეგია.

1949 წლის 11 სექტემბერს დაიბადა. 1966 წელს დაამთავრა რკინიგზის მე-13 (შემდეგში – მე-4) საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა „ივერიაში" და ჯერ კიდევ 17 წლის ბიჭი უცებ გახდა „ივერიის" სული და გული. მანმადე კი იყო სასპორტო სკოლა, სადაც მართლაც ლეგენდარულ პიროვნებებთან – გრიშა ჯომართიძესთან და ჯემალ(ბუდღუ) კიკნაძესთან გაიარა წვრთნა. 1981 წლამდე -15 წელი ითამაშა საყვარელ გუნდში, 15 წელი ემსახურა ხაშურის ფეხბურთს და ისე წავიდა

გუნდიდან ბოლომდე არ მოკლებია ოვაციები და აპლოდისმენტები. წავიდა, თუმცა ასეთი პიროვნებებისათვის ფეხბურთის გარეშე ცხოვრება შეუძლებებია. ამხელა გამოცდილება აუცილებლად ისევ ფეხბურთს უნდა მოხმარებოდა და ასეც მოხდა. 1986 წლიდან „ივერიის" უფროსი მწვრთნელია და თუ დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ჩემპიონატში „ივერიაც" ჩაერთო, ამაში მისი უზარმაზარი დამსახურებაცაა. პარალელურად, მომავალ თაობასთანაც მუშაობდა და დღემდე ასეა. ხაშურში ქალთა ფეხბურთის განვითარება კი მთლიანად მის მხრებზე გადავიდა. აბსოლიტურად ნულიდან დაიწყო. მთელ რაიონში დაეძებდა პატარა გოგონებს, რომლებსაც ანა-ბანადან აწყებინებდა და იმდენს მიაღწია, რომ 2003 წელს მისი დამოძღვრილი გოგონათა გუნდი ჯერ საქართველოს ჩემპიონი გახდა, შემდეგ კი პატარების მსოფლიო ჩემპიონატზეც გამოვიდა, რომელიც ჰოლადნიაში გაიმართა. არც ამის შემდეგ გაჩერებულა 2008 და 2012 წლებში ხაშურელი გოგონები საქართველოს ჩემპიონები გახდნენ, ასევე ორგზის გაამარჯვებინა პლაჟის ფეხბურთში. მის აღზრდილ ათამდე სპორტსმენს კი საქართველოს ნაკრებებშიც დაულოცა გზა.

ბრწყინვალე ოჯახი შექმნა ბატონმა თემურმა. ეამაყება, რომ ბაბუის გზას დღეს მისი შვილიშვილი აგრძელებს და ღმერთმა ქნას, ბაბუაზე დიდი ფეხბურთი ეთამაშოს. არადა, ისეთი პირი უჩანს ასეც იქნება. ნიკუშა „დინამოს" აკადემიში ვარჯიშობს და ახლახანს, უნგრეთში, საერთაშორისო ტურნირში, სადაც 14 ქვეყნის 28 გუნდი მონაწილეობდა, ნიკა ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

დადის ჩვენს ქალაქში ღირსეული პიროვნება, გამორჩეულად კარგი კაცი. აი, ისეთი, მასთან ურთიერთობაც რომ გიხარია და მისი მეგობრობით ამაყობ. უყვარს ჩვენს ქალაქს ეს კაცი, ამაგიც დაუფასეს და ხაშურის საპატიო მოქალაქეობაც მიანიჭეს. მისი განვლილი გზა მაგალითია იმისა თუ როგორ უნდა ემსახუროს კაცი მშობლიურ ქალაქს, მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს პიროვნებამ, რომ მისი გაკვალული ბილიკი მანათობელ კელაპტრად იქცეს მომავალი თაობისთვის.

ჩვენს მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად, იუბილეს ვულოცავთ ბატონ თემურს. უფალმა ჯანმრთელობა და სიხარული არ მოაკლოს. ჩვენ კი ვისურვოთ, რომ მისნაირი გამორჩეული კაცები ბევრი ჰყოლოდეს ხაშურს და სრულიად საქართველოს.

გოგი გოგოლაძე

იყიდება სამოსახლო ნაკვეთი

ხაშურში, მდინარე შოლას გასწვრივ (ე.წ. „სვანების" მაღაზიის მიმდებარედ) იყიდება სამოსახლო ნაკვეთი (10 მეასედი).
ფასი შეთანხმებით. ტ. 555-24-85-22

იყიდება სახლი

ხაშურში (თაყაიშვილის ქ. №9 – ყოფილი ტელმანის ქუჩა, მესამე საჯარო სკოლის გვერდით) იყიდება ორსართულიანი სახლი ეზოთი და ყველანაირი სათავსოთი. ფასი შეთანხმ

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.